ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

2016 წლის საქმიანობის ანგარიში

2016

სარჩევი

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის რეფორმა .. 5
2. სამსახურის ძირითადი ფუნქციები 5
3. სამსახურის სტრუქტურა 6
4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო 6
5. სამსახურის მისია, ხედვა და ღირებულებები 7
6. სამსახურის მიერ 2016 წელს გამოცემული სამართლებრივი აქტები და შემუშავებული პროექტები 7
7. რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორები და აუდიტორული ფირმები 8
8. საზოგადოებრივი დაინტერესების პირთათვის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ 11
9. 2016 წელს სამსახურის მიერ განხორციელებული სხვა საქმიანობების მიმოხილვა 12
10. საერთაშორისო ურთიერთობები 12
11. სამსახურის 2016 წლის ბიუჯეტი და თანამშრომლებით დაკომპლექტება 12
12. სამსახურის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საქმიანობა 13



გიორგი თაბუაშვილი

საბჭოს თავმჯდომარის მისალმება

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ.

ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების, ქვეყანაში ინვესტიციების ზრდის ერთ-ერთი მთავარი პირობა ჯანსაღი და სამართლიანი ბიზნესგარემოს არსებობაა, სადაც დაცულია კერძო საკუთრება, მთავრობა ბიზნესის მიმართ მეგობრულია და ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისთვის შექმნილია ყველა პირობა.

ჩვენ მიერ უკვე დაწყებული და მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მიზანია, ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესება, გადამხდელზე ორიენტირებული, ბიზნესისადმი მეგობრული გარემოს ხელშეწყობა.

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის რეფორმა, რომლის წარმატებით განხორციელება დაკავშირებულია კორპორატიული მართვის და სააღრიცხვო დისციპლინისა და ანგარიშგების სანდოობის ხარისხის ამაღლებასთან, კაპიტალური და ფინანსური ბაზრების განვითარებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასთან.

აღნიშნული რეფორმის განხორციელებით მოგებული დარჩება საწარმო - რომელსაც ექნება სანდო და გამჭვირვალე ანგარიშგება, აუდიტორი, რომელიც მაღალპროფესიულ დონეზე შეასრულებს სამუშაოს, ბიზნესი - რომელსაც უკეთ ეცოდინება თავისი კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და სწორად დაგეგმავს სამომავლო პერსპექტივას, ინვესტორი, რომელიც უფრო თამამად ჩადებს ინვესტიციებს ქვეყანაში და საბოლოო ჯამში, რეფორმის შედეგები ხელშესახები იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის.

რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს. აღნიშნული უწყების ფუნქციებია აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოება; საწარმოების ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების ვებგვერდის წარმოება; შესაბამისი კანონით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების, წესების სამოქმედოდ შემოღება; აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ რეფორმა ხელს შეუწყობს საქართველოს, რათა ეფექტიანად განხორციელდეს ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სფეროში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვა.

მინდა წარმატება ვუსურვო ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურსა და სამსახურის თითოეულ თანამშრომელს.

იური დოლიძე

სამსახურის უფროსის მისალმება

წარმოგიდგენთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პირველ წლიურ ანგარიშს. ჩემს სიტყვაში, მინდა მოკლედ შევეხო რეფორმის მნიშვნელობას საქართველოს ბიზნესის განვითარებისათვის და, ასევე, გაგაცნოთ მიმდინარე წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები.

ევროასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, 2016 წლის 26 ივნისს ამოქმედდა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. აღნიშნული ცვლილება კი, თავის მხრივ, წინაპირობა გახდა იმისა, რომ შექმნილიყო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

ჩვენი სამსახურის მთავარ ორიენტირს, საწარმოთა აღრიცხვა-ანგარიშგების გამჭვირვალობის უზუნველყოფის მეშვეობით კაპიტალური და ფინანსური ბაზრების განვითარება წარმოადგენს. ფინანსური და მმართველობითი მონაცემების შემცველი საინფორმაციო რესურსების შექმნა სწორ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს შეუწყობს ხელს და, შესაბამისად, ბიზნესის სფეროს განვითარებას უზრუნველყოფს.

სამსახურის ხედვა გრძელვადიან პერსპექტივებზე არის გათვლილი. ბიზნესის ხელშეწყობა, მისი ფუნქციონირებისათვის იდეალური პირობების შექმნით, პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და განვითარებაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ჩვენ დაწვრილებით ვეცნობით მათ პრაქტიკას და ვცდილობთ გავიზიაროთ მათი გამოცდილება.

მიმდინარე წელი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სამსახურისთვის. ეს წელი, ძირითადად, სამსახურის, მისი ფუნქციების განსაზღვრას, სტრუქტურისა და სამოქმედო სტრატეგიების ფორმირებას დაეთმო. გარკვეული სირთულეების მიუხედავად, ჩვენ შევძელით მიგვეღწია დასახული მიზნებისთვის. მსურს, მოკლედ წარგიდგინოთ ეს შედეგები და იმედი გამოვთქვა, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.

2016 წლის განმავლობაში, ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი გამოვეცით. ასევე, შევიმუშავეთ ცალკეული ნორმატიული აქტების პროექტები; სამსახურის მიერ ჩამოყალიბებულ რეესტრში უკვე მრავალი ფირმაა რეგისტრირებული, რომლის დამსახურებითაც, ნებისმიერ დაინტერესებულ ინდივიდს რეგისტრირებული პირების პროფესიული დაზღვევის, შემოსავლებისა და თანამშრომელთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემების ნახვა შეუძლია; სამსახური აქტიურად ზრუნავს საერთაშორისო სტანდარტების თარგმნასა და დამკვიდრებაზე; აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ სამსახური აქტიურად მუშაობს აუდიტის დამოუკიდებელ ზედამხედველ ორგანოთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) წევრის სტატუსის მოსაპოვებლად; ხოლო IFAC-სა და IFRS-თან მიმდინარეობს სალიცენზიო შეთანხმებები.

დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო პროფესიულ ორგანიზაციებსა და სამსახურის საბჭოს. მათმა მხარდაჭერამ და თანამშრომლობამ არსებითი წვლილი შეიტანა სამსახურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. აქვე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, რომელმაც თავდაუზოგავად იშრომა დასახული მიზნების მისაღწევად.

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის რეფორმა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი 2016 წლის 24 ივნისიდან ამოქმედდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა მოცემული სფეროს რეფორმას საქართველოში.

რეფორმა მიზნად ისახავს კაპიტალური და ფინანსური ბაზრების განვითარებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას სამეწარმეო სუბიექტების ანგარიშგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულაციების შესაბამისი ევროდირექტივების დაცვა.

აღნიშნული მიზნის განხორციელებას ხელს უწყობს სუბიექტების ფინანსური და მმართველობითი მონაცემების შემცველი საიმედო საინფორმაციო რესურსის (ანგარიშგების საჯარო ელექტრონული რეესტრის) შექმნა, რომლის სანდოობის ხარისხს აამაღლებს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული აუდიტის ზედამხედველობა.

2. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას. სამსახური 2016 წლის 24 ივნისს შეიქმნა, ხოლო სამსახურის დებულება დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის N223 ბრძანებით.

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს მარეგულირებელი ევროკავშირის დირექტივებით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში-კანონი), სხვა საკანონმდებლო და კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და სამსახურის დებულებით.

სამსახურის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

- აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- საწარმოების ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების ვებგვერდის წარმოება;
- კანონით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების, წესების სამოქმედოდ შემოღება;
- აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი;
- სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარება და ამ მომსახურებების განმხორციელებელ პირთა მონიტორინგი.

3. სამსახურის სტრუქტურა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური სამი სტრუქტურული ქვედანაყოფისგან შედგება:

- აუდიტის და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- სამსახურის აპარატი.



4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო (შემდგომში - საბჭო) არის სამსახურთან არსებული, ბუღალტრულ აღრიცხვასთან, ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო. საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N166 ბრძანებით.

საბჭო შედგება 7 ძირითადი და 2 მოწვეული წევრისაგან:

1. გიორგი თაბუაშვილი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო ჯავახაძე - საბჭოს წევრი;
3. მურთაზ კიკორია - საბჭოს წევრი;
4. ირაკლი თუთარაშვილი - საბჭოს წევრი;
5. ლევან საბაური - საბჭოს წევრი;
6. რუსლან ხოროშვილი - საბჭოს წევრი;
7. შოთა კომლაძე - საბჭოს წევრი;
8. ივანე ჯელია - საბჭოს მოწვეული წევრი;
9. გიორგი ხმალაძე - საბჭოს მოწვეული წევრი.

- საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე
- საბჭოს წევრების უფლებამოსილება განისაზღვრება 5 წლის ვადით
- საბჭოს მოწვეული წევრების უფლებამოსილება განსაზღვრულია 2017 წლის ბოლომდე

- საბჭოს წევრი უნდა იყოს არაპრაქტიკოსი, კომპეტენტური ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, აუდიტის, ეკონომიკის, ფინანსების, ბიზნესის მართვის ან სამართლის სფეროში და ჰქონდეს შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 7 წლიანი გამოცდილება.

5. სამსახურის მისია, ხედვა და ღირებულებები

სამსახურის მისია - სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების ხელშეწყობის მიზნით, ფინანსური და მმართველობითი მონაცემების შემცველი საინფორმაციო რესურსების შექმნა, რომლის სანდოობის ხარისხს სამსახური საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საზედამხედველო სისტემის მეშვეობით გაზრდის.

სამსახურის ხედვა - საქართველო გახდეს კიდევ უფრო გამჭვირვალე და მიმზიდველი ქვეყანა ბიზნესისა და დასაქმების მიმართულებით.

სამსახური მოქმედებს შემდეგ ღირებულებებზე და პრინციპებზე დაყრდნობით:

- პატიოსნება, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა როგორც პიროვნულ, აგრეთვე ორგანიზაციულ დონეზე;
- დაინტერესებული მხარეების საჭიროებების შესწავლა და დროული რეაგირება უკუკავშირზე;
- სწავლების, ხარისხის ზრდისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- საუკეთესო საერთაშორისო საზედამხედველო პრაქტიკის მოკვლევა და დანერგვა.

6. სამსახურის მიერ 2016 წელს გამოცემული სამართლებრივი აქტები და შემუშავებული პროექტები

სამსახურის მიერ 2016 წელს გამოცემული ნორმატიული აქტებია:

- „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესი“;
- „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესი“;
- „საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესი“;
- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ სამსახურის უფროსის ბრძანება.

სამსახურის მიერ 2016 წელს შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებია:

- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების პროექტი;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში პრაქტიკის გავლის წესის პროექტი;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შინაგანაწესისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტი.

7. რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორები და აუდიტორული ფირმები

2016 წლის 1 ნოემბრიდან აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია და რეესტრის წარმოება დაიწყო. რეგისტრაციის პროცესი რეგულირდება შემდგომი სამართლებრივი აქტებით:

- „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესი“;

- „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესი“.

2016 წელს გაკეთებული განაცხადების, რეგისტრირებული პირების, მათი პროფესიული დაზღვევის, შემოსავლებისა და თანამშრომელთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:




2016 წელს რეგისტრირებული აუდიტორები/აუდიტორული ფირმები
180
160
140
120
100
80
60
40
20
0
100
166
23
26
70
6
74
96
17
2016 წელს რეგისტრირებული
ნოემბერი
დეკემბერი
აუდიტორული ფირმები
ფირმაში დასაქმებული აუდიტორები
ინდივიდუალური აუდიტორები


აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიული
პასუხისმგებლობის დაზღვევა 2016 წლის მონაცემებით
2 313 200,00
112 982 600,00
აუდიტორული ფირმები
ინდივიდუალური აუდიტორები


რეგისტრირებულ აუდიტორულ ფირმებში დასაქმებული თანამშრომლები
ადმინისტრაცია; 224
აუდიტორული მომსახურება; 654
სხვა პროფესიული მომსახურება; 715


2016 წელს რეგისტრირებული აუდიტორების წევრობა პროფესიულ ორგანიზაციებში
36; 19%
25; 13%
128; 68%
საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია
საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია
საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება ბას

რეგისტრირებული ინდივიდუალური აუდიტორების და აუდიტორული ფირმების შემოსავლები საქმიანობის სახეების მიხედვით



8. საზოგადოებრივი დაინტერესების პირთათვის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, 2016 წლის 11 ნოემბრიდან დაიწყო იმ აუდიტორული ფირმების განაცხადების მიღება, რომლებსაც სურდათ საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (შემდგომში სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება. განაცხადების მიღების ბოლო ვადად განსაზღვრულ 2016 წლის 30 ნოემბრამდე სულ შემოვიდა 22 ფირმის განაცხადი.

დაინტერესებული ფირმების შესახებ ოფიციალური მიმოწერა შედგა კანონით განსაზღვრულ მაკონტროლებელ, საზედამხედველო ორგანოებთან და სახელმწიფო უწყებებთან.

განაცხადების განხილვის შედეგად, 2016 წლის 30 დეკემბრისთვის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 17 აუდიტორული ფირმისათვის სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. 2016 წელს სამსახურის მიერ განხორციელებული სხვა საქმიანობების მიმოხილვა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამსახური განისაზღვრა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სამართალმემკვიდრედ.

სამსახურისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო სამსახურის თანამშრომლების მიერ შემდგარმა საინვენტარიზაციო კომისიამ საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ბალანსზე რიცხული აქტივებისა და დოკუმენტაციის ინვენტარიზაცია განახორციელა, რის შედეგადაც გამოვლენილი აქტივები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გადაეცა შემდგომი რეალიზაციისთვის.

10. საერთაშორისო ურთიერთობები

სამსახურმა აუდიტის დამოუკიდებელ ზედამხედველ ორგანოთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) წევრობის შესახებ გააკეთა განაცხადი. გაერთიანების წევრობა ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა აუდიტის სფეროში საერთაშორისო პრაქტიკისა და არსებული რეგულაციების გასაცნობად.

სამსახურმა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასა და IFRS Foundation-თან სალიცენზიო შეთანხმებების გაფორმების კუთხით წამოიწყო კონსულტაციები, რაც მოქმედი საერთაშორისო აუდიტორული და ბუღალტრული სტანდარტების ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებასა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

გაგრძელდა მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა STAREP პროგრამის ფარგლებში. დაიგეგმა დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, მათ შორის ევროკავშირის დელეგაციასა და აზიის განვითარების ბანკთან.

11. სამსახურის 2016 წლის ბიუჯეტი და თანამშრომლებით დაკომპლექტება

სამსახური 2016 წელს სრულიად დაფინაინსდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დაფინანსება	თანხა (ლარი)	შესრულება
საბიუჯეტო სახსრები	100,778.00	96.84%
მათ შორის:		
შრომის ანაზღაურება	85,778.00	93.96%
საქონელი და მომსახურება	15,000.00	99.99%

კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის საფუძველზე, სამსახური 2016 წელს 8 თანამშრომლით დაკომპლექტდა აგრეთვე, 6 შტატგარეშე მოსამსახურე მიიღო. სამსახური ახორციელებდა პრაქტიკანტების მიღებასა და მათ ჩართულობას სამსახურის საქმიანობაში.

12. სამსახურის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საქმიანობა

სამსახური 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად განახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

ღონისძიება	აღწერა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ხანგრძლივობა (თვე)
1) სუბიექტების ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების პორტალის შექმნა და მართვა.	ღონისძიების განხორციელების ძირითადი მიზნები არის ბიზნესის გამჭვირვალობის, ეკონომიკური ანალიზის, კაპიტალის და საკრედიტო ბაზრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სუბიექტების ფინანსური ანგარიშგებების, მმართველობით ანგარიშგებების და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგებების შემცველ ვებ-გვერდისა და პორტალის შექმნა და ადმინისტრირება.	01/2017	09/2017	9
2) ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შემოღება, არაფინანსური ანგარიშგების შედეგებისა და კონსოლიდირებული წარდგენის წესების განსაზღვრა.	ღონისძიების განხორციელების ძირითადი მიზნები არის სუბექტების ანგარიშგების ხარისხის და სანდოობის ამაღლების მიზნით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS, IFRS for SME) სამოქმედოდ შემოღება ეროვნულ დონეზე. არაფინანსური ანგარიშგების (სდპ-ის და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების მმართველობის ანგარიშგების, სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების) მომზადებისა და წარდგენის წესის დადგენა.	04/2017	09/2017	6
3) პროფესიული განათლების სტანდარტების დადგენა, სასწავლო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესების აღიარება და მონიტორინგი.	ღონისძიების განხორციელების ძირითად მიზნებს წარმოადგენს, ბუღალტრული და აუდიტორული განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით, პროფესიული ორგანიზაციებისათვის, სწავლებისა და გამოცდის მიმწოდებელი სხვა ინსტიტუციებისთვის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებსა და ევროდირექტივაზე დაფუძნებული პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სტანდარტების დადგენა.	01/2017	08/2017	7

4) აუდიტისა და პროფესიული ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების შემოღება და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება.	ღონისძიების განხორციელების ძირითადი მიზნები არის ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ხარისხის ამაღლების მიზნით აუდიტისა და დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების (ISA), პროფესიული ეთიკის ნორმებისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სტანდარტების (ISQC) თარგმნა, შემოღება და მათი ეროვნულ დონეზე დანერგვის ხელშეწყობა. ევრორეგულაციების საფუძველზე სდპ აუდიტის დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის წესის განსაზღვრა. აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი აუდიტორული ფირმის მასშტაბით და ცალკეული გარიგების პარტნიორთან მიმართებაში.	05/2017	12/2017	8
5) პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესი არასერტიფიცირებული გამოცდილი პირებისთვის.	ღონისძიების განხორციელების ძირითადი მიზანი არის წესის დადგენა, რომლის მიხედვითაც არასერტიფიცირებული გამოცდილი პირები გაივლიან სერტიფიცირებას და, ასევე ამ წესის აღსრულების მონიტორინგი.	02/2017	04/2018	14
6) მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი.	ღონისძიების განხორციელების ძირითადი მიზანი არის გამარტივებული სტანდარტების შემუშავება, რომლის მიხედვითაც სუბიექტები მოამზადებენ და წარმოადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას.	07/2017	12/2017	6
7) მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესი.	ღონისძიების განხორციელების ძირითადი მიზანი არის წესის შემუშავება, რომლის მიხედვითაც სუბიექტები მოამზადებენ და წარმოადგენენ მმართველობით ანგარიშგებას.	03/2017	12/2017	10